№ 499. პარასკევი, 3 აპრილი. 1896—1898 პარასკევი, 3 აპრილი, № 499.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. [illegible]
თაოთ. ნომერი 3 კაპ.
ფასი-გაცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ

ახალ გახსნილი

„ სტამბა „

„ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 121.

✦ სტამბა ყოველისფერით სავსე და მოწყობილია ✦

ეროვნულ-ვარი საქმე სწარმოებს სწრაფად, სუფთად და ალაგად.

სტამბა ასრულებს ავრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიმართავენ სტამბას, რომელიც=კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დამუშავებას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზურიდან ნება-რთვის აღებას და სხ.

საღდგასწაულოდ—საკვიზიტო ბარათები სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჭრებისათვის ალაგად და ფასად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“ ТИПОГРАФІИ
(В. Л. Гуніа)
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.
Дешевизна, изящество и быстрота исполненія.

კახური ღვინის საწყობი

ხარატუროვისა და მჭედლოვისა

ბუშკინის ქუჩა, ტერ-ასატუროვის მამულში (ერევნის მოედანზე)

საუკეთესო ღვინო ბოთლი 15 კაპ. 1 მან.-მდე

საღდგასწაულოდ!!

16 ბოთლი კარგი ღვინო
2 მან. 20 კაპ.

ყველას ვსთხოვთ ნახონ ჭაშნიკი და გემო

(5—4) პატივისცემით ხარატუროვი და მჭედლოვი.

„აღმოსავლეთის მაღაზია“

იოსებ მერკვილაძისა

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: **იმერული, მეგრული, დაგორული** და **ლეკური შალები, საკაბეებათ** და **საჩოხეებათ.** აქვეა **ნაბდები ქალისა** და **კაცისა,** ჩაბალახები, ქამარ-ხანჯალი, მრავალი სხვა-და-სხვა **დანები, თუშური ნაბდის ქუდები** და სხვა სამკაული.

მაღაზიას აქვს

სამაგალითო ქართული (იმერული) ტანისამოსის სამკერვალო ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—7)

„შუამავალის“

ამხანაგობის მაღაზიაში

საღდგასწაულოდ იყიდება: გამომცხვარი პასკები, ლორი საუკეთესო მოხარშული და უმი, კვერცხის საღებავები, ფქვილები და ყოველ-გვარი სამზადისი პასკებისათვის. (3—2)

იაფობა ✦✦ ბაზრობა

ლორთქიფანიძეს

სავაჭრო და მაღაზინი

თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. „კავკ.“-ის პირდაპირ

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე

იაფობა-ვაჭრობა

იყიდება ყოველგვარი საფარ-თლო, საფერჩეულო და საქონელი | **ბრეშუმეული, შალეული, ბამბეული** | **ტილოეული, ბამბეული** | **ფასი**

= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =

ჩვეულებრივსა და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენტ. ნაკლებია. ვთხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, და შტაბის პირდაპირ.

Магазинъ Лорткипанидзе

Караванъ-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба

назначена большая распродажа

уступка отъ 20 до 30% съ фабричныхъ цѣнъ

(30—29) პატივისცემით ლორთქიფანაძე.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისმათვის, ლექტრონით წამლობისთვისაე და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

ოსმალეთი

ათინა. პელოპონესის ყველ[illegible] კუთხეებიდგან მოდის სასახლეში[illegible] ადრესები, რომლებითაც სთხო[illegible] ვენ მეფესა და დედოფალს—იშუა[illegible] მდგომლეთ რუსეთის იმპერატორ[illegible] თან რუსეთ-საბერძნეთის შორ[illegible] სავაჭრო ხელშეკრულობისათვისაო[illegible] ადრესები სავსეა მადლობით ხელ[illegible] მწიფე იმპერატორისადმი ყოველ[illegible] სავე იმისათვის, რაც მისმა უდი[illegible] დებულესობამ მოიქმედა საბერძნ[illegible] თის სასარგებლოდ.

კონსტანტინეპოლი. დიდ სა[illegible] ხელმწიფოთაგან კრიტის საქმის[illegible] შესახებ ოსმალეთს ჯერ-ჯერო[illegible] ბით მოუვიდა პასუხები ავს[illegible] ტრი-უნგრეთისა, იტალიისა დ[illegible] ინგლისისაგან. ავსტრი-უნგრეთ[illegible] მზად არის მიემხროს სხვა დიდ სა[illegible] ხელმწიფოთა გარდაწყვეტილებას[illegible] იტალიასაც სურს აგრეთვე საქმის[illegible] მალე გათავება და დიდ სახელმწი[illegible] ფოთა ერთ-სულობა. ინგლისი იწე[illegible] რება, ყოვლად შეუძლებელია, რო[illegible] კრიტის გუბერნატორად ოსმალე[illegible] თის ქვეშევრდომი დაინიშნოსო.

რა არის ხარკი

და ან

რისთვისა ჰკრეფენ

თარგმანი **ი. ბ—ისა**

დამატება

სასოფლო წესდების ზოგიერთი მუხლები

ფასი ერთი შაური

ვინც გამომცემლისაგან იყიდის (ალექ. ბაღის პირდაპირ) ოცს ან მეტს, მანეთზე 30% დაეთმობა. მსურველთ ფას-დადებითაც გაეგზავნებათ.

ადრესი: Тифлисъ. Георг. ул книжная торговля І. Э. Имедашвили.

(10—3)

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 აპრილი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აკრძალულ იქმნას ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზეთისა „გლასნოსტ“.

დაისტამბა და ისყიდება ყველგან ი. იმედაშვილის გამოცემა № 8

ბალის ალბომი

ახალი ამბავი

აკაკის ავადმყოფობა

ამას წინად ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდან ჩვენის პოეტის აკაკის ავათმყოფობის სამწუხარო ამბავი. ვაცნობეთ კიდეც ეს ჩვენს მკითხველებს. ცოტა ხნის შემდეგ აკაკი უკეთ შეიქნა და ყველამ სასიამოვნოდ მივიჩნიეთ, მაგრამ გუშინ ჩვენ მივიღეთ ძრიელ სამწუხარო დეპეშა სამსონ თოფურიასაგან: „აკაკი უფრო მძიმე ავათმყოფი შეიქნა. ცვლილება მოხდა უეცრივ. გულის ფრიალი და ჯადილი მომეტებულად აწუხებს..." დეპეშის მიღებისათანავე, როგორც ჩვენ, ისე მრავალ სხვა პირებმა გაგზავნეს ქუთაისში თანაგრძნობითი დეპეშები. ჩვენ ვსთხოვეთ პატივცემულ სამსონ თოფურიას ყოველ დღეს ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც გვაცნობოს დეპეშით აკაკის მდგომარეობა. ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი სასიქადულო აკაკი დასძლევს ამ მძიმე ავათმყოფობას და ჩვენ მოგვეცემა შემთხვევა ამ სასიამოვნო ამბით ყველა ჩვენი მკითხველი და ყოველი ქართველი გავახაროთ.

გუშინ საღამოთი კიდევაც მოგვივიდა ამბავი, რომ პატივცემულს აკაკის ცოტა უკეთობა დაეტყო.

*** **ქართული წარმოდგენები ბაქოში.** ამ დღებში გაემგზავრება ბაქოში ქართული დასი, წარმოდგენების გასამართავად. დასს შეადგენენ: კნ. ავალიშვილისა, ალექსი მესხიშვილი, დადიანი (ქუჯი) კანდელაკი, მჭედლიშვილი, რჩეულოვისა და სხვანი. პირველი წარმოდგენა დანიშნულია 8 აპრილისათვის. წარმოადგენენ ვალ. გუნიას „და-ძმას". დასს აქვს გადაწყვეტილი მხოლოდ სამი წარმოდგენის გამართვა და დაბრუნება ტფილისში, სადაც გამართავს რამდენსამე წარმოდგენას. ჯერ თბილისის სცენისათვის ახალ პიესებისას.

*** **მრეწველობა ბაქოში.** 1897 წელს „შავ ქალაქში" უმუშავნია სულ 119 ქარხანას, რომელთაც უწარმოებიათ 10. 275,000 მანეთის საქონელი. სულ ამ ქარხნებში ყოფილა 4, 715 მუშა.

*** **ნაოფების გამოფენა** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დღესასწაულების გამო დღეიდან ღროებით დაიხურება და ხელმეორედ გაიმართება აღდგომის მეორე დღეს.

*** **ახალი საზოგადოება.** ტფილისში არსდგება ახალი ყრუ-მუნჯთათვის მზრუნველი საზოგადოება, რომლის დაარსებაზე მთავრობას უკვე ნება დაურთავს.

*** **ჯეჯილის მდგომარეობა ტფილისის გუბერნიაში.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, წელს ჯეჯილს თითქმის ყველგან ტფილისის გუბერნიაში კარგი პირი უჩანს.

*** **ბლეკროტი კავკასიაში.** ცნობილმა მიკოლოგ-აკადემიკოსმა ვორონინმა აუწყა აგრონომს სპეშნევს: ვაზის გამოკვლევამ მე სრულიად დამარწმუნა, რომ კახეთის ვენახებს ბლეკროტი გასჩენიაო.

*** **ცამბარადან გამოქცეულთა შეპყრობა.** 22 აპრილს ყარაიაზის ბოქაულმა წარუდგინა ტფილისის სამაზრო მმართველობას ციმბირიდან გამოქცეული ორი ყაჩაღი, რომელთაც ტფილისში სპარსეთის პასპორტები ეშოვათ და ყარაიაზსა და სხვა ადგილებში თავისუფლად ცხოვრობდნენ. დატუსაღების შემდეგ ამ ყაჩაღებს გაქცევა განეზრახათ სატუსაღოდან, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. სამაზრო პოლიციის განკარგულებით შეპყრობილნი დაპატიმრებულ იქმნენ მეტეხის ციხეში.

*** **ბალტისა და შავი ზღვების შეერთება.** განზრახვა აქვთ ამ გაზაფხულში შეუდგნენ მუშაობას ბალტისა და შავი ზღვების შესაერთებლად; ამ საქმისათვის უნდა დაიხარჯოს 200.000,000 მან. ამ ზღვების შესაერთებლად უნდა გაიჭრას არხი სიღრმით $4^1/_2$ საჟენი, სიგანით ზედა-პირთან—35, ხოლო ძირზე—18 საჟენი. არხი გაიჭრება ქალაქ რიგადგან ქ. ხერსონამდე. მთელი არხი განათებული იქნება ელექტრონით, რომ მაზე მოძრაობა შესაძლებელი იყოს როგორც ღღისით, ისე ღამით.

*** **ბორას მაზრის მემამულეთა ამხანაგობის საზოგადოება.** ამ საზოგადოების კრება დანიშნულია 10-ს აპრილს და ამ ღღისათვის საზოგადოების მმართველობას შეუდგენია პირველი წლის ანგარიში, რომლის განხილვამ ჩვენზე საზიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ანგარიში შეეხება საზოგადოების მმართველობის მოქმედებას მხოლოდ პირველი მაისიდან 1897 წლისა ამა წლის პირველ იანვრამდე. ასე ცოტა ხანში და სულ 8.623 მან. 75 კ. თანხით საზოგადოებას მოგება უნახავს 6545 მანეთამდის. წმინდა მოგება დარჩენია 2931 მან. როგორც ანგარიშიდან სჩანს, მმართველობას იფსარგებლიანი კრედიტი მოუხერხებია და 18 ათასი მანეთად ღირებულ საქონლის აღებ-მიცემობა გაუმართავს. თუ შემდეგშიაც ასე წარმართად წავიდა საზოგადოების საქმე, როგორც ამ პირველ შვიდ თვეში, მოგებაც დიდი დარჩება და სარგებლობასაც ბევრს მოუტანს თავის კლიენტებს და წევრებს. წრფელის გულით ვუსურვებთ ამ საზოგადოების და ამხანაგობის საქმეების გაძლიერებას.

*** **შავი ქვის მწარმოებელთა უკმაყოფილობის შეუწყნარებლობა.** რკინის გზათა დეპარტამენტს გამოუგზავნია დასკვნის დასადგენად ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობისათვის შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარის გ. ფ. ზდანოვიჩის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ აღდგენილ იქმნეს შარშან აგვისტოში გაუქმებული წესი შესახებ ვაგონების უფასოდ დგომისა სადგოთში წვიმისა და ავდრის დროს, როცა შეუძლებელი ჰხდება შავი ქვის გემებზე გადატანა. როგორც ისმის, გზის მმართველობას არ შეუწყნარებია ეს წინადადება.

*** **ქალაქის სამკურნალო** დღესასწაულების გამო გუშინ დაიხურა და 8 აპრილამდე აღარ გაიღება.

*** **ნავთის წარმოება.** ნავთის მწარმოებელთა კრების ცნობებიდან სჩანს, რომ იანვრის განმავლობაში უწარმოებიათ 44,6 მილ. ფუთი წმინდა ნავთი. ამდენი ნავთი არც ერთ თვეში არ უწარმოებიათ მას შემდეგ, რაც ნავთის წარმოება არსებობს. მარტო ვიშაუს ფირმის შადრევანს ამოუსროლია 13 მილ. ფუთი ნავთი.

*** **რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი.** ივანე როსტომაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისი რედაქციით იბეჭდება და ამ ღღეებში გამოვა (პირველი წიგნი): „სრული ლექსიკონი, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი". წიგნი დაუყოვნებლად დაურიგდება ხელის-მომწერლებს. ახალმა ხელის-მომწერლებმა, ვისაც ჰსურს, რომ ლექსიკონი გამოსვლისათანავე მიიღოს, ლექსიკონის დაბარებასთან უნდა ორი მანეთი წარმოადგინონ (Давид. пл. № 29). უცხო სიტყვათა და ამბავთა გარდა, ლექსიკონში შეტანილია მრავალი ცნობა ჩვენის ქვეყნის შესახებ. ეს არის თვალ-საჩინო განსხვავება მისი უცხო ლექსიკონებისაგან.

*** **ბაქოში წარმოდგენის გამართვის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთის № 496-ში დაბეჭდილია რეცენზია შესახებ ქართული წარმოდგენისა ბაქოში. მე შემიძლიან ორი სიტყვით გამოვსთქვა მისი ასეთი სასტიკი და სიმართლეს მოკლებულ რეცენზიის პასუხი. საკვირველია, ღმერთმანი, რამ აიძულა ბ. როსტომაშვილი და მწამებს, რომ საზოგადოებასთან ბოდიში არ მოითხოვა კავსაძეს ჩამოუსვლელობაზედო. ეტყობა უბილეთოდ ბრძანებულა ბ. როსტომაშვილი თეატრში, ან კიდევ განზრახარ შეუმჩნევია, რომ კასასთან იყო გამოკრული საბოდიშო განცხადება და მგონია, უფრო ურიგობა იქმნებოდა, რომ ჯერ ხალხს ბილეთები ეყიდნა და შემდეგ გამომეცხადებინა სცენიდან კავსაძეს ავადმყოფობა. რაც შეეხება იმას, რომ კავსაძე მოწვეული არ იყოვო, ამაზედ ბ. როსტომაშვილს შევაწუხებ დაეკითხოს თვით კავსაძეს. წარმოდგენის ავკარგიანობას რაც შეეხება, ძლიერ სასტიკათ ეპყრობა ბ. როსტომაშვილი და თავიანთვე სცენის მოყვარეთაგან ბევრს თხოულობს და მგონია, რომ პირად ანგარიშსაც-კი საზოგადო საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რა გაგიკვირდათ, ბ-ნო როსტომაშვილო, რომ ბაქოში—სცენის მოყვარემ ვერ ითამაშა!?. აბა წაიკითხეთ რეცენზიები უკანასკნელ წარმოდგენებისა ტფილისში, როგორ შეუშალეს ხელი მესხიევის თამაშს. კიდევ ვიმეორებ, რომ არ ვარგა ასე სასტიკათ მოპყრობა ახლად დაწყებულ საქმისა ბაქოში.

გამგე ზემოხსენებული წარმოდგენისა ივ. მჭედლიშვილი

*** **შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში შესახებ იაკობ გოგებაშვილის წიგნებისა, გაგვეპარა შემდეგი შეცდომები: დაბეჭდილია: შეკრებილი გამოცემა, უნდა ყოფილიყო: შევსებული, დაბეჭდილია: ვადაზე, უნდა იყოს: ყდაზე. მოწონებულად არის აღიარებული Очеркъ. უნდა ყოფილიყო: მოწონებულად ნახსენები Руководство.

*** **ქ. ბათომი. მეგრული ხალხური ხორო.** 29 მარტს, ბათომის ქართულ სკოლის დარბაზში მეგრულ ხოროს მიერ გამართულ იქმნა კონცერტი პ. ლოლუას გამგეობით და ქ-ნ ნინა ქიქოძის დახმარებით, იმავე სკოლის სასარგებლოდ. საზოგადოება ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. განსაკუთრებით ზოზოგიერთმა სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა მსმენელები, რომლებიც გაცხარებით უკრავდნენ ტაშს. სიმღერების შემდეგ ვლ. ალანიამ ჩანგური დაუკრა და ზედ მეგრული სიმღერა დაჰღიღინა, რითაც მსმენელებს დიდად ასიამოვნა. დასასრულ გაიმართა ცეკვა; სხვათა შორის, მშვენივრად შეასრულა ლეკური თეოფ. ქავთარაძემ.

ყარამან ნარაკიძე

*** **ქუთაისი. არჩევნები საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.** 30 მარტს ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საზოგადო კრების სხდომაზე არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის წევრნი. კენჭი იყარეს: იოს. მურადოვმა, დ. ნ. ჩიკვაიძემ, კლ. პ. ქუთათელაძემ, ა. ტ. ნანეიშვილმა, ვ. ი. ჭილაძემ და ნ. მ. კანდელაკმა; არჩეულ იქმნა სამი უკანასკნელი; მათ კანდიდატებად დანიშნულ იქმნენ: ი. გ. ბიმბაძე, კლ. პ. ქუთათელაძე და ვ. ფ. ქორქაშვილი.

— **დახმარება ბავშვებისა.** იმავე კრებამ 29 ძალტს დადგინა: ყოველ წლივ გადაიდვას ხოლმე ერთი პროცენტი წმინდა მოგებიდან ტფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ.

*** **ჟურნალი „მოამბე".** ჩვენ მივიღეთ ჟურნალი "მოამბე" № 3 შემდეგის შინაარსით: I „ინჯილერი ან დოხტური", კომედია 4 მოქმედებად აზიანისა (ნ. მ. დონდაროვისა), II „ამირანის შვილნი" ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება), III „ცისკარა".—პოემა ანტონ ფურცელაძისა, IV „გლეხი-კაცის ისტორია"—ნაწილი მესამე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, V „ვინ არის მართალი?„ იპ. ვართაგავასი, VI „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა"—ვაჟა-ფშაველასი, V „ჩვენის საეკკლესიო ისტორიიდან. სამართალი კათალიკოზისა"—ნ. ურბნელისა, VIII „სასამართლოს განაჩენი მეფე გიორგი XIII-ის დროსა, IX „საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნთა აწინდელი მდგომარეობა ქართულს ენაზედ—ი წ—ლისა X „ჩვენი მწერლობა„—«ირინეს ბედნიერება», სურათი სოფლის ცხოვრებიდან, 2 მოქმედებად დ. კლდიაშვილისა, ჟ. «მოამბე» №12, 1897 წ.—ი. ნაკაშიძისა.

IX „მეფე ერეკლე" II,—წიგნის გამო „Послѣдніе годы Грузинскаго царства, ганералъ-леитенанта С. І. Кишмишева, ძველი ეკალისა, XII „ქუთაისის თავადაზნაურობის მოხსენება ერობის შესახებ, XIII „ახალი კვალი",—ნახატებიან გაზეთიდან ამოღებული სურათი,—Z-სა.

განცხადებანი

ბეჭდის ნერგები

ისყიდება **დ. ხონში**

ა. ა. საფაროვის და მ. ბ. სანაძის აბრეშუმის ფაბრიკაში. (5—2)

РУКОВОДСТВО

КЪ ПРЕПОДАВАНІЮ ПО «РУССКОМУ СЛОВУ»,

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული. ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს, წიგნი დაეთმობა 48 კაპ. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

ОЧЕРКЪ

СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ ГРУЗИНСКАГО И РУССКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს ან მეტს იყიდის ერთად, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.; ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ პირველის მყიდველმა არ უნდა იყიდოს მეორე წიგნი.

საწყობი ორივე წიგნისა არის თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. (6—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Апрѣля 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა" (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარგ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.